

პრესრელიზი

GIG –ის დირექტორთა საბჭოს წევრი FDC-ის (ბრაზილიისა და სამხრეთ ამერიკის წამყვანი ბიზნეს სკოლის) გადაწყვეტილებით, საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოში მიიწვიეს.

გელა ბეჟუაშვილი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის არააღმასრულებელი დირექტორი, ბრაზილიის წამყვანი ბიზნეს სკოლის FDC- (Foundation Dom Cabral) საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს წევრად აირჩიეს. გადაწყვეტილების შესახებ, საქართველოს ინდუსტრიულმა ჯგუფმა ოფიციალური შეტყობინება პირადად FDC-ის პრეზიდენტისგან, ემერსონ ალმეიდასგან მიიღო.

ცნობისთვის, FDC-ის საერთაშორისო მრჩეველთა საბჭო 2009 წელს შეიქმნა. მასში 22 ქვეყნის საჯარო, კერძო, აკადემიური და არასამთავრობო ორგანიზაციის 75 ლიდერია გაერთიანებული. აღსანიშნავია, რომ, FDC-ის საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოში, პირველად აირჩიეს საქართველოს წარმომადგენელი.

FDC-ის საბჭოს შექმნის იდეა და მიზანი, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმატებული, მოაზროვნე ადამიანების გაერთიანებაა, რომლებიც ერთობლივად განიხილავენ ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებისა და FDC-ის სტრატეგიულ საკითხებს.

კომპანია „ჯი-აი-ჯი“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

